

ავთანდილ არაბული

ქართველ- და ქართულ- მსაზღვრელ წევრთა განაწილებისათვის ერთი ტიპის კრებითი შინაარსის სახელებთან

როგორც ცნობილია, **-ელ** და **-ურ** წარმომავლობის სუფიქსთა დისტრიბუცია სრულიად ჩამოყალიბებულ სურათს გვიჩვენებს სალიტერატურო ქართულში; **-ელ** სუფიქსიანი სახელი გამოხატავს ადამიანის წარმომავლობას: *სოფლ-ელ-ი გოგო, ქალაქ-ელ-ი სტუმარი...* ხოლო **-ურ** სუფიქსიანი წარმოება – ყველა „რა“-კლასის სახელის წარმომავლობას: *ქალაქ-ურ-ი სიმღერა, სოფლ-ურ-ი ნობათი, იმერ-ულ-ი მწვანელი, ფშა-ურ-ი ძროხა...**

ასეთივე განაწილება გვაქვს კრებითი (ზოგადობითი) შინაარსის სახელებთან, მათ შორის, **ქართ-** ძირის დერივატების გამოყენებისას:

ქართველ-ი ხალხი;

ქართველ-ი ერი...

ქართ-ულ-ი ფუტკარი;

ქართ-ულ-ი პური...

როგორც ვხედავთ, ადამიანთა კრებულის გამომხატველ კრებით სახელებთან (*ხალხი, ერი...*) მსაზღვრელად **ქართველ-**ის გამოყენება უეჭველია.

ამავე დროს, შეინიშნება ამ დერივატთა (აგრეთვე – ეთნონიმური წარმომავლობის მსგავს წარმოებათა) აღრევის შემთხვევები ასევე წარმოქმნილ საზღვრულ წევრებთან გამოყენებისას: *ქართველი // ქართული საზოგადოება, ქართველი // ქართული დელეგაცია...*

სამცხე-ჯავახეთის *ქართველი საზოგადოება* ამ მოვლენების გამო წუხდა (გ. მაისურ.);

* სალიტერატურო ქართულისგან განსხვავებული შემთხვევები იჩენს თავს **-ურ** სუფიქსის გამოყენებისას დიალექტურ მეტყველებაში, კერძოდ, ეს მაწარმოებელი გარკვეულ შემთხვევებში ადამიანის წარმომავლობასაც გამოხატავს: „ა ხ მ ე ტ უ რ ი ქალი ვიყავ, ახ ნეტავი მეო“ (ხალხ.); „სანათაი ვარ მე, შვილო, ა ფ ხ უ შ ი უ რ ი ქალია“ (ვაჟა) და მისთ.

რა მდგომარეობაშია *ქართველი საზოგადოება*, როგორ ლიდერს ექნება წარმატება და რა გამოგვიყვანს ვითარებიდან, რომელსაც ფსიქოლოგი... ტრაგიკულს უწოდებს („კვ. პალ.“);

ქართველი საზოგადოება სიხარულით შეხვდა რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყებას („მეგლები“)...

„*ქართული საზოგადოება* და ევროპული ღირებულებები“ (წიგნის სათაური);

დღეს პოლიტიკური მხარდაჭერის გარდა საჭიროა ასევე *ქართული საზოგადოების* მხარდაჭერაც („ინტერპრ.“);

ქართული საზოგადოება ყოველთვის სჯობდა საკუთარ პოლიტიკურ კლასს („ნიუსი“);

როგორია *ქართული საზოგადოების* დამოკიდებულება ინტერნეტის მიმართ... („24 საათი“)...

მომავალ წლებში რიგი სახელმწიფოს პარლამენტების ხელმძღვანელობა მოწვეული იქნება საქართველოში, ზოგ ქვეყანას კი *ქართული დეპუტაცია* ადგილზე ეწვევა („ინტერპრ.“);

ეს სხდომა ბოლო სხდომა იყო, რომელსაც *ქართველი დეპუტაცია* დაესწრო („ამბები“)...

ამიტომაც არ დამდგარა ეს საკითხი სესიაზე და არა *ქართული დეპუტაციის* „გაუთავებელი თამაშის“ გამო („საქ. რესპ.“);

მეტი ვერაფერი მოიფიქრა *ქართულმა დეპუტაციამ*, გარდა იმისა, რომ გაეყო პარლამენტი („ექსპერტი“)...

„*ქართველი ინტელიგენცია* საბჭოთა პერიოდში (სათაური);

სამცხე-ჯავახეთის *ქართველი ინტელიგენციაც* ენერგიულად შეუერთდა დაბრუნებული მხარის შესწავლასა და მასზე მზრუნველობის საქმეს (გ. მაისურ.)...

ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლების წინააღმდეგ ბრძოლა და მათი განადგურება საბჭოთა ხელისუფლების უმთავრესი ამოცანა იყო („24 საათი“);

ჩვეული როლის დაკარგვამ კი *ქართულ ინტელიგენციას* არასრულფასოვნების კომპლექსი გაუმძაფრა („ბურუსი“)...

ემპირიული მასალა ადასტურებს, რომ **-ელ//ურ** მსაზღვრელ დერივატთა მონაცვლეობა აღნიშნულ პოზიციაში აშკარაა; ამავე დროს, შეინიშნება **-ურ** დაბოლოებიანი მსაზღვრელის როლის გამოხატვის ტენდენცია.

უნდა ვივარაუდოთ, რომ აღნიშნულ ალტერნატიულ სინტაგმატიკას სემანტიკური საფუძველი აქვს; კერძოდ, მიზეზი ამისა მდგომარეობს **-ება//ობა** დაბოლოებათა არაერთგვაროვან სემანტიკურ გამოხატულებაში: ეს დაბოლოება შეიცავს როგორც **ზოგადობის**, **აბსტრაქტულობის**, ისე **კრებიტობის** შინაარსს; პირველის დომინანტობის შემთხვევაში მოსალოდნელია **-ურ** სუფიქსიანი დერივატის არჩევანი, ხოლო მეორე შემთხვევაში არჩევანი **-ელ** დერივატზე შეჩერდება. ვფიქრობთ, ამის გარკვეულ ილუსტრაციას იძლევა **ელჩობა** სახელის გამოყენება ანალოგიურ სინტაგმებში:

1. „**ელჩობა**“ ზოგადი შინაარსით:

ქართული ელჩობა ამავედროულად ითხოვდა 300 000 ეკიუს გამოყოფას („ამბიონი“);

1712 წელს ირანში დატყვევებული ვახტანგი ლუი XIV-ისგან იღებს წერილს, რომ „მეფე-მზე“ თანახმაა *ქართული ელჩობა* მიიღოს („არქივი“);

შდრ.: რით დამთავრდა *ქართული ელჩობა* ვატიკანში? („თბილის.“).

2. „**ელჩობა**“ კრებიტი შინაარსით:

ქართველი ელჩობა საფრანგეთის მეფეს სთხოვდა, რომ ირანში მყოფი საფრანგეთის წარმომადგენელი ვახტანგის გათავისუფლების საკითხს მოაგვარებდა („არქივი“).

აღნიშნული ზოგადობა, როგორც ჩანს, მეტია ლათ. **-ცია** დაბოლოების შემცველ ტერმინებში, ამიტომაც იშვიათია **-ელ** სუფიქსიანი მსაზღვრელის შემცველი შესიტყვება; მაგალითად, **დელეგაცია** სიტყვა, ფაქტობრივ, მხოლოდ **ქართულ**-ი მსაზღვრელით დასტურდება:

ქართული დელეგაცია ხვალ დისკუსიების მორიგ რაუნდში მონაწილეობის მისაღებად ჟენევაში გაემგზავრება („რეპორტიორი“).

ყოველივე აღნიშნულის შემდგომ, ენის განვითარების მიმდინარე ეტაპის გათვალისწინებით, შეიძლება გამოვიტანოთ შემდეგი ოპოზიციური დასკვნა:

1. **ქართველ**-ი და **ქართულ**-ი მსაზღვრელების გამოყენებისას კრებითი (ადამიანთა კრებულის) შინაარსის დერივატებთან შეინიშნება **-ურ** სუფიქსიანი მსაზღვრელის პოზიციის გაძლიერება.

2. ნაწარმოებ სიტყვათა ბუნებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია **ქართველ**- მსაზღვრელს რეკომენდაცია მიეცეს ქართ. **-ება// -ობა** სუფიქსით დაბოლოებულ დერივატებთან (*ქართველი საზოგადოება...*); ხოლო **-ცია** დაბოლოებიან ერთეულებთან უპირატესობა მიეცეს **-ურ** სუფიქსით წარმოქმნილ დერივატს (*ქართული დელეგაცია...*).

ლიტერატურა

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I-VIII, თბ., 1950-1964.

ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1953.

სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 2011.

Avtandil Arabuli

On Using the Modifiers *kartvel-* and *kartul-* with the Collectives of One Type

Summary

When using the modifiers *kartvel-* and *kartul-* before the derivatives with a collective meaning (denoting a crowd of people) the strengthening of the position of a modifier with the suffix **-ur** can be noticed.

Based on the nature of the derivatives it is recommended to use the modifier *kartvel-* before the derivatives with the suffixes **-eba** or **-oba**, e. g. *kartveli sazogadoeba* "the Georgian society" while before the lexical units with the ending **-cia** the derivatives with the suffix **-ur** should be preferred, e. g. *kartuli delegacia* "the Georgian delegation".